

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის და  
საკითხების საჯარო განხილვის

**ოქთი N 30**

29 აპრილი, 2024 წელი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

12:00 სთ

კომისიის სხდომას უძღვებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძე.

სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები:

თინათინ ნიბლოშვილი

შალვა ოგბაიძე

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ ნინო ვარდოსანიძემ. მან დაადასტურა კვორუმი და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.

## დღის წესრიგი

- ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, 26 მაისის მოედანთან არსებული უსახელო სკვერისთვის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის აკაკი ჩხერიძის სახელის მინიჭების შესახებ
- ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, მერაბ ალექსიძის III შესახვევისთვის ისტორიკოსის, ფილოლოგ ზაზა ალექსიძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ.
- ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, გვაზაურის I შესახვევის მონაკვეთისთვის, გვაზაურის II გასასვლელის მონაკვეთისთვის, მასთან არსებული ჩიხებისთვის და შესახვევისთვის ფიზიკოსის, აკადემიკოს ალბერტ თავხელიძის სახელის მინიჭების შესახებ
- ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ბერი გაბრიელ სალოსის VI ჩიხთან არსებული უსახელო სკვერისთვის ყირგიზი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ჩინგიზ აითმათოვის სახელის მინიჭების შესახებ
- ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, ბათუმის შესახვევისთვის ქორეოგრაფის, საქართველოს სახალხო არტისტის რევაზ ჭოხონელიძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ
- ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, დაბა წყნეთში, მაია წყნეთელის II ჩიხისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლების, მამა-შვილის ზურაბ და მამუკა ბერომების სახელის მინიჭების შესახებ
- ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ელიზბარ მინდელის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერისთვის, საქართველოს სახალხო არტისტის, მუსიკოსის ომარ კელაპტრიშვილის სახელის მინიჭების შესახებ
- ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, წყნეთში, დიმიტრი ამილახვარის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ემზარ გელანტიას სახელის მინიჭების შესახებ
- ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, თბინვალას დასახლებაში, სოლომონ ავალიანის ქუჩასთან არსებული უსახელო ქუჩისთვის და მასთან მდებარე ერთი გასასვლელისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ემზარ გელანტიას სახელის მინიჭების შესახებ
- ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ზაჟესის დასახლებაში, გრიგოლ ხანძთელის ქუჩის მონაკვეთისთვის ალექსანდრე მანაგაძის სახელის მინიჭების შესახებ
- ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ზაჟესის დასახლებაში, გრიგოლ ხანძთელის ქუჩის მონაკვეთისთვის და გრიგოლ ხანძთელის I ჩიხისთვის სხვიტორის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ

12. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ზაჰესის დასახლებაში, ავტალის ქუჩისთვის გრიგოლ ხანძთელის სახელის მინიჭების შესახებ
13. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში, დავით ბატონიშვილის ქუჩის გაგრძელების და ქუჩასთან არსებული ორი უსახელო შესახვევისთვის დავით ბატონიშვილის I და II შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ
14. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის და დიდუბის რაიონებში, ვაგზლის მოედნისთვის სადგურის მოედნის სახელის მინიჭების შესახებ
15. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, დაბა წყნეთში ვაჟა-ფშაველას ქუჩის გაგრძელების შესახებ
16. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიდ დიღომში პეტრე იბერის შესახვევის გაგრძელების შესახებ
17. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ივანე კაჭარავას ქუჩის I შესახვევის გაგრძელების შესახებ.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარემ ნინო ვარდოსანიძემ დამსწრე საზოგადოებასთან ერთად განიხილა დღის წესრიგით წარმოდგენილი თითოეული საკითხი.

1. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, 26 მაისის მოედანთან არსებული უსახელო სკვერისთვის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის აკაკი ჩხერიმელის სახელის მინიჭების შესახებ

#### მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს გააცნო პირველი საკითხი. კომისიაში შემოსულია საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ილია

დარჩიაშვილის წერილი, რომლითაც ითხოვს გეოგრაფიული არეალისთვის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის აკაკი ჩხენკელის სახელის მინიჭებას.

აკაკი ჩხენკელი იყო საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთი დამფუძნებელი, საქართველოს საგარეო საქმეთა პირველი მინისტრი. მას დიდი ღვაწლი მიუძღვნის ჩვენი ქვეყნის ევროპული პოლიტიკური დღის წესრიგის განსაზღვრისა და თანამედროვე ქართული დიპლომატიის საფუძვლის ჩაყრაში. საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ მოღვაწეობდა საფრანგეთში, სადაც იკავებდა საქართველოს ელჩის თანამდებობას.

მისი ბიოგრაფიიდან გამომდინარე კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია უსახელო გეოგრაფიულ ობიექტს მიენიჭოს აკაკი ჩხენკელის სახელი.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე - სამი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

**გადაწყვიტეს:** საბურთალოს რაიონში, 26 მაისის მოედანთან არსებულ უსახელო სკვერს მიენიჭოს სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის აკაკი ჩხენკელის სახელი.

2. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, მერაბ ალექსიძის III შესახვევისთვის ისტორიკოსის, ფილოლოგ ზაზა ალექსიძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ.

## **მოისმინეს:**

ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს მეორე საკითხის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. კომისიაში შემოსულია სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორის ზაალ აბაშიძის წერილი, რომლითაც ითხოვს თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს აკადემიკოს ზაზა ალექსიძის სახელი.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და შეისწავლა ზაზა ალექსიძის ბიოგრაფია. მეცნიერი, საერთაშორისოდ აღიარებული მკვლევარი, ქართველოლოგის, არმენოლოგის, ალბანოლოგის და ზოგადად კავკასიოლოგის სფეროში უამრავი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, პროფესორი ზაზა ალექსიძე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის და გელათის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი იყო, რომელიც თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ინსტიტუტს და სხვადასხვა დროს არჩეული იყო საზღვარგარეთის ქვეყნების ბევრი სამეცნიერო საზოგადოების წევრად და საპატიო წევრად. 2003 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

სახელდებისთვის შეირჩა საბურთალოს რაიონში, მერაბ ალექსიძის III შესახვევი, რომელიც ჩამოყალიბდა ქუჩად და კომისიის გადაწყვეტილებით მიენიჭება ზაზა ალექსიძის სახელი. ხსენებულ ქუჩაზე მდებარეობს ხელნაწერთა ეროვნული ინსტიტუტი. ქუჩის შერჩევის პროცესში კონსულტაციები გაიმართა როგორც ზაზა ალექსიძის ოჯახის, ასევე ხელნაწერთა ინსტიტუტის წარმომადგენლებთან.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მეორე საკითხი.

მომხრე - სამი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

**გადაწყვიტეს:** საბურთალოს რაიონში, მერაბ ალექსიძის III შესახვევს მიენიჭოს ისტორიკოსის, ფილოლოგ ზაზა ალექსიძის სახელი

**3. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, გვაზაურის I შესახვევის მონაკვეთისთვის, გვაზაურის II გასასვლელის მონაკვეთისთვის, მასთან არსებული ჩიხებისთვის და შესახვევისთვის ფიზიკოსის, აკადემიკოს ალბერტ თავხელიძის სახელის მინიჭების შესახებ**

#### **მოისმინეს:**

ნინო ვარდოსანიძემ დღის წესრიგით წარმოდგენილი მესამე საკითხი განიხილა. კომისიაში შემოსულია თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის ირაკლი ხელაძის წერილი, რომლითაც გიორგი გოხაძე გვაზაურის ქუჩის II შესახვევში მცხოვრები მოსახლეობის სახელით ითხოვს აღნიშნულ მისამართზე არსებული დამისამართების პრობლემის მოგვარებას.

ანალოგიური მოთხოვნით კომისიაში შემოსულია გვაზაურის ქუჩის II შესახვევში მცხოვრები მოქალაქეების წერილი. 2023 წლის 23 ივნისს კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას წერილი.

2023 წლის 20 ივნისს კომისიაში ასევე შემოსულია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს როინ მეტრეველის წერილი, რომლითაც ითხოვს თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს აკადემიკოს ალბერტ თავხელიძის სახელი.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წარმომადგენლების მიერ ადგილზე მოხდა გვაზაურის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიის შესწავლა, გზათა ქსელების მომზადების პროცესში კონსულტაციები გაიმართა სამისამართო სამსახურთან, როგორც დგინდება, თანამედროვე დამისამართების უზრუნველსაყოფად აღნიშნული ტერიტორია საჭიროებს სახელწოდებების დაზუსტებისა და გარკვეულ მონაკვეთებზე ცვლილებების განხორციელებას.

კომისიას ამ ეტაპზე მიზანშეწონილად მიაჩნია გვაზაურის I შესახვევის მონაკვეთისთვის, გვაზაურის II გასასვლელის მონაკვეთისთვის, მასთან არსებული ჩიხებისთვის და შესახვევისთვის სახელწოდების ცვლილება და დანართის

შესაბამისად წარმოქმნილი გეოგრაფიული ობიექტისთვის ფიზიკოსის, აკადემიკოსის ალბერტ თავხელიძის სახელის მინიჭება.

ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა მესამე საკითხი.

მომხრე -სამი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

**გადაწყვიტეს:** ნამალადევის რაიონში, გვაზაურის I შესახვევის მონაკვეთს, გვაზაურის II გასასვლელის მონაკვეთს, მასთან არსებულ ჩიხებს და შესახვევს მიენიჭოს ფიზიკოსის, აკადემიკოს ალბერტ თავხელიძის სახელი.

4. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ბერი გაბრიელ სალოსის VI ჩიხთან არსებული უსახელო სკვერისთვის ყირგიზი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ჩინგიზ აითმათოვის სახელის მინიჭების შესახებ

**მოისმინეს:**

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორის დავით კერესელიძის წერილები, რომლითაც მოთხოვნილია დედაქალაქის ერთ-ერთი ქუჩისთვის ან სკვერისთვის ყირგიზი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ჩინგიზ აითმათოვის სახელის მინიჭება.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში ყირგიზეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპეციალურ წარმომადგენელთან, აზერბაიჯანის რესპუბლიკასა და საქართველოში ყირგიზეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან

ელჩთან, კაირატ ოსმონალიევთან გამართულ შეხვედრაზე ყირგიზეთის მხარემ ქართულ მხარეს ხსენებული თხოვნით მიმართა.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და შეისწავლა ჩინგიზ აითმათოვის ბიოგრაფია. ყირგიზი მწერალი ჩინგიზ აითმათოვი სიცოცხლეშივე აღიარებული იყო ყირგიზული ლიტერატურის კლასიკოსად. მისი ნაწარმოები ნათარგმნია არაერთ ენაზე. მიღებული ჰქონდა არაერთი ჯილდო, იყო მრავალი ლიტერატურული პრემიის მფლობელი.

როგორც ცნობილია, ქ.ბიშკეკში არის შოთა რუსთაველის სახელობის ქუჩა. ნაცვალგების პრინციპისა და ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია დედაქალაქში არსებობდეს ჩინგიზ აითმათოვის სახელობის გეოგრაფიული ობიექტი.

სკვერის შერჩევისა და ადგილზე დათვალიერების პროცესში აქტიურად იყო ჩართული ელჩი კაირატ ოსმონალიევი.

სხდომის თავმჯდომარემ ვენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე - სამი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

**გადაწყვიტეს:** სამგორის რაიონში, ბერი გაბრიელ სალოსის VI ჩიხთან არსებულ უსახელო სკვერს მიენიჭოს ყირგიზი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ჩინგიზ აითმათოვის სახელი.

**5. ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, ბათუმის შესახვევისთვის  
ქორეოგრაფის, საქართველოს სახალხო არტისტის რევაზ ჭოხონელიძის ქუჩის  
სახელის მინიჭების შესახებ**

**მოისმინეს:**

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო მეხუთე საკითხი. კომისიაში შემოსულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის ვიქტორ წილოსანის წერილი, რომელიც გვიგზავნის ა(ა)იპ საქართველოს ქორეოგრაფთა აკადემიის პრეზიდენტის ალექსანდრე ქართველიშვილის წერილს, რომლითაც ითხოვს დიდუბის რაიონში, ვახუშტი ბაგრატიონისა და ბათუმის ქუჩებს შორის არსებული შესახვევისთვის რევაზ ჭოხონელიძის სახელის მინიჭებას.

კომისიამ შეისწავლა აღნიშნული საკითხი და რევაზ ჭოხონელიძის ბიოგრაფია. მას, როგორც საზოგადო მოღვაწეს, განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის ქართული ფოლკლორის განვითარების საქმეში. რევაზ ჭოხონელიძე ცეკვავდა ანსამბლ „სალხინოში“, 1967 წლიდან კი წლების განმავლობაში ხსენებული ანსამბლის ხელმძღვანელია. მას შემდეგ, რაც ანსამბლი „სალხინო“ ანსამბლ „რუსთავად“ გადაკეთდა, მისი სამხატვრო ხელმძღვანელი ანზორ ერქომაიშვილი იყო, ხოლო ქორეოგრაფი ისევ რევაზ ჭოხონელიძეა. როგორც მთავარი ქორეოგრაფი, რევაზ ჭოხონელიძე მოღვაწეობდა ანსამბლ „ერისიონში“. მის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე გადაღებულია დოკუმენტური ფილმი. საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, ილია II მიერ იგი საუკუნის ქორეოგრაფადაა წოდებული, ხოლო 2002 წელს, პარიზში, მას „თანამედროვე ქორეოგრაფიის მეტრი“ უწოდეს.

კომისიის მიერ ტერიტორიის შესწავლის შემდგომ აღმოჩნდა, რომ ბათუმის შესახვევი ქალაქებითი თვალსაზრისით შესაძლებელია ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელ ქუჩად.

ოჯახთან შეთანხმებით და საქართველოს ქორეოგრაფთა აკადემიის თხოვნის საფუძველზე კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ დიდუბის რაიონში, ბათუმის შესახვევს, იქ სადაც ცხოვრობდა რევაზ ჭოხონელიძე, მიენიჭოს რევაზ ჭოხონელიძის ქუჩის სახელი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეხუთე საკითხი.

მომხრე - სამი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

**გადაწყვიტეს:** დიდუბის რაიონში, ბათუმის შესახვევს, მიენიჭოს ქორეოგრაფის, საქართველოს სახალხო არტისტის რევაზ ჭობონელიძის ქუჩის სახელი.

6. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, დაბა წყნეთში, მაია წყნეთელის II ჩიხისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლების, მამა-შვილის ზურაბ და მამუკა ბეროძეების ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

#### **მოისმინეს:**

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორის მოადგილის ჯანდრი უბირიას წერილი, რომელიც შუამდგომლობს ნელი ჩოჩიას, რომელიც ითხოვს თბილისის რომელიმე ქუჩისთვის მამუკა ბეროძის სახელის მინიჭებას.

იგივე მოთხოვნით კომისიაში შემოსულია ნელი ჩოჩიას განცხადება, რომლითაც ითხოვს წყნეთში, მაია წყნეთელის II ჩიხისთვის მამუკა ბეროძის სახელის მინიჭება.

კომისიამ შეისწავლა მამუკა ბეროძის საბრძოლო მოკვლევა. იგი დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით. ოჯახთან სატელეფონო კონსულტაციის შემდეგ გაირკვა, რომ მამა, ზურაბ ბეროძე შვილთან ერთად იბრძოდა აფხაზეთის ომში, სადაც გმირულად დაიღუპა. ტერიტორიის შესწავლის შემდეგ დადგინდა, რომ მაია წყნეთელის II ჩიხი ქალაქებებითი თვალსაზრისით ჩამოყალიბდა ქუჩად.

კომისიამ განმცხადებლისგან დამატებით მოითხოვა ქუჩაზე მაცხოვრებელი მოქალაქეების ხელმოწერებით დადასტურებული თანხმობა სახელის ცვლილებასთან

დაკავშირებით, შესაბამისი წერილის წარმოდგენის შემდეგ კომისიამ დადებითი რეკომენდაცია მისცა აღნიშნულ საკითხს.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭი უყარა მეექვსე საკითხს.

მომხრე -სამი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

**გადაწყვიტეს:** ვაკის რაიონში, დაბა წყნეთში, მაია წყნეთელის II ჩიხს მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლების, მამა-შვილის ზურაბ და მამუკა ბეროძეების ქუჩის სახელი.

7. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ელიზბარ მინდელის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერისთვის, საქართველოს სახალხო არტისტის, მუსიკოსის, ომარ კელაპტრიშვილის სახელის მინიჭების შესახებ

#### **მოისმინეს:**

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაცით, კომისიაში შემოსულია ნათელა კელაპტრიშვილის წერილი, რომლითაც ითხოვს ვაჟა ფშაველას V კვარტალის მე-3 კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ სკვერს მიენიჭოს მუსიკოსის ომარ კელაპტრიშვილის სახელი.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და შეისწავლა ომარ კელაპტრიშვილის ბიოგრაფია. იგი იყო სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ „რუსთავის“ ინსტრუმენტული ჯგუფის ხელმძღვანელი და უცვლელი სოლისტი, საქართველოს სახალხო არტისტი. იგი გახდა ახალი ეპოქის შემქმნელი და დამამკვიდრებელი ხალხურ ინსტრუმენტალურ ხელოვნებაში. მან პირველმა საქართველოს ისტორიაში უძველესი ხალხური საკრავები აიყვანა უმაღლეს საშემსრულებლო დონეზე.

საკითხის შესწავლის დროს ასევე გაირკვა, რომ იქ, სადაც ომარ კელაპტრიშვილი ცხოვრობდა, ქართული საზოგადოებისა და ანსამბლ „რუსთავის“ თხოვნით კეთილმოეწყო სკვერი. სკვერში განთავსდა ხელოვანის ბიუსტიც, თუმცა სკვერის სახელდებასთან დაკავშირებული ოფიციალური დოკუმენტი არ არსებობს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მეშვიდე საკითხი.

მომხრე -სამი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

**გადაწყვიტეს:** ვაკის რაიონში, ელიზბარ მინდელის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერს მიენიჭოს საქართველოს სახალხო არტისტის, მუსიკოსის, ომარ კელაპტრიშვილის სახელი.

8. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, წყნეთში, დიმიტრი ამილახვარის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ნოდარ (ვეფხო) მათიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

**მოისმინეს:**

ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს დღის წესრიგით გათვალისწინებული მერვე საკითხი გააცნო. კომისიაში შემოსულია მარიამ მათიაშვილის და წყნეთის მაცხოვრებლების ერთობლივი განცხადება, რომლითაც ითხოვს წყნეთში, დიმიტრი ამილახვარის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერს მიენიჭოს ნოდარ (ვეფხო) მათიაშვილის სახელი.

ვეფხო მათიაშვილი 1992 წელს წავიდა აფხაზეთში საქართველოს მიწის დასაცავად. 1993 წლის 1 მარტს სოფელ ლაბრასთან ერთ-ერთი მძიმე საბრძოლო შეტაკების დროს, თავისი თანამებრძოლების გადარჩენისას ტყვედ აიყვანეს აფხაზმა სეპარატისტებმა და წამებით მოკლეს. ნოდარ მათიაშვილი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა მედლით „მხედრული მამაცობისთვის“.

საკითხის შესწავლის პროცესში ვაკის რაიონის გამგეობის საშუალებით შესწავლილი იქნა სკვერის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეების აზრი სახელდებასთან დაკავშირებით, როგორც დადგინდა ადგილობრივი მოსახლეობა ერთსულოვანია სკვერისთვის ნოდარ(ვეფხო) მათიაშვილის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

კომისიის წევრებმა აღნიშნულ საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

მომხრე -სამი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

**გადაწყვიტეს:** ვაკის რაიონში, წყნეთში, დიმიტრი ამილახვარის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერს მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ნოდარ (ვეფხო) მათიაშვილის სახელი.

9. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, თხინვალას დასახლებაში, სოლომონ ავალიანის ქუჩასთან არსებული უსახელო ქუჩისთვის და მასთან მდებარე ერთი გასასვლელისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ემზარ გელანტიას სახელის მინიჭების შესახებ

**მოისმინეს:**

კომისიის თავმჯდომარის, ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია ია გელანტიას განცხადება, რომლითაც ითხოვს თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ემზარ გელანტიას სახელი.

კომისიამ შეისწავლა აღნიშნული საკითხი და ემზარ გელანტიას საბრძოლო მოკვლევა.

1993 წლის 25 თებერვალს 24-ე ბატალიონის მიერ ქალაქ ტყვარჩელის მიმართულებით დაგეგმილი მასშტაბური სამხედრო ოპერაციის დროს გმირულად დაიღუპა. ვაჟაპობის და თავგანწირვისთვის ემზარ გელანტია სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა მედლით მხედრული მამაცობისთვის. სახელდებისთვის შეირჩა უსახელო ქუჩა თხინვალას დასახლებაში. ქუჩასთან განვითარებულია ერთი ჩიხი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი.

მომხრე -სამი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

**გადაწყვიტეს:** ვაკის რაიონში, თხინვალას დასახლებაში, სოლომონ ავალიანის ქუჩასთან არსებულ უსახელო ქუჩას და მასთან მდებარე ერთ გასასვლელს მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ემზარ გელანტიას სახელი.

10. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ზაჰესის დასახლებაში, გრიგოლ ხანძთელის ქუჩის მონაკვეთისთვის ალექსანდრე მანაგაძის სახელის მინიჭების შესახებ
11. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ზაჰესის დასახლებაში, გრიგოლ ხანძთელის ქუჩის მონაკვეთისთვის და გრიგოლ ხანძთელის I ჩიხისთვის სხვიტორის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ
12. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ზაჰესის დასახლებაში, ავჭალის ქუჩისთვის გრიგოლ ხანძთელის სახელის მინიჭების შესახებ

## **მოისმინება:**

ნინო ვარდოსანიძემ კომისიას განსახილველად წარუდგინა მომდევნო სამი საკითხი. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ მუნიციპალიტეტის საკრებულოს გლდანის რაიონის მაჟორიტარ წევრთან კონსტანტინე ზარნაძესთან ერთად შეხვედრა გამართა ავჭალის წმ. გრიგოლ ხანძთელის სახელობის ტაძრის წარმომადგენლებთნ მამა გურამ ბერძულთან და მამა იოანე ფეიქრიშვილთან. შეხვედრაზე სასულიერო პირებმა განაცხადეს, რომ ტაძარი, რომელიც გრიგოლ ხანძთელის სახელს ატარებს, მდებარეობს ავჭალის ქუჩაზე. ტაძრის მრევლის და ადგილობრივი მმოსახლეობის სურვილია, ავჭალის ქუცას სეეცვალოს სახელი და ეწოდოს გრიგილ ხანძთელის სახელი.

საკითხის შესწავლის შემდგომ დადგინდა, რომ ე.წ. ზაჰესის დასახლებაში, სადაც ტაძარი მდებარეობს, ალექსანდრე მანაგაძის ქუჩის გაგრძელებაზე რამდენიმე ათეულ მეტრიანი ქუჩა ატარებს გრიგოლ ხანძთელის სახელს. გეგმარებითი პარამეტრების მიხედვით, ხსენებული ქუჩის მონაკვეთი რეალურად ალექსანდრე მანაგაძის ქუჩის გაგრძელებაა, ხოლო გრიგოლ ხანძთელის ქუჩის მონაკვეთი და I ჩიხი წრმოადგენს სხვიტორის ქუჩის შესახვევს.

ზემოხსენებული გარემოებების გათვალისწინებით, კომისიამ მიზანს ეწონილად მიიჩნია გრიგოლ ხანძთელის ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს ალექსანდრე მანაგაძის სახელი, გრიგოლ ხანძთელის ქუჩის მონაკვეთს და I ჩიხს მიენიჭოს სხვიტორის I შესახვევის სახელი და ავჭალის ქუჩას მიენიჭოს გრიგოლ ხანძთელის სახელი.

მომხრე - სამი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

**გადაწყვიტება:** გლდანის რაიონში, ზაჰესის დასახლებაში, გრიგოლ ხანძთელის ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს ალექსანდრე მანაგაძის სახელი.

გლდანის რაიონში, ზაჰესის დასახლებაში, გრიგოლ ხანძთელის ქუჩის მონაკვეთს და გრიგოლ ხანძთელის I ჩიხს მიენიჭოს სხვიტორის I შესახვევის სახელი.

გლდანის რაიონში, ზაჰესის დასახლებაში, ავჭალის ქუჩას მიენიჭოს გრიგოლ ხანძთელის სახელი.

**13. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში, დავით ბატონიშვილის ქუჩის გაგრძელების და ქუჩასთან არსებული ორი უსახელო შესახვევისთვის დავით ბატონიშვილის I და II შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ**

#### **მოისმინეს:**

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას წერილი, რომლითაც მოქალაქე სოფიკო ბიჩინაშვილის მიმართვის საფუძველზე ითხოვს უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. ტერიტორიის შესწავლის შემდეგ დადგინდა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს სოფელ დიღომში, დავით ბატონიშვილის ქუჩასთან. ქალაქებებითი თვალსაზრისით შესაძლებელია ქუჩის გაგრძელება, ქუჩასთან განვითარებულია ასევე ორი უსახელო შესახვევი.

ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა მეცამეტე საკითხი.

მომხრე -სამი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

**გადაწყვიტეს:** საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში, გაგრძელდეს დავით ბატონიშვილის ქუჩა და ქუჩასთან არსებულ ორ უსახელო შესახვევს მიენიჭოს დავით ბატონიშვილის I და II შესახვევის სახელი.

**14. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის და დიდუბის რაიონებში, ვაგზლის მოედნისთვის სადგურის მოედნის სახელის მინიჭების შესახებ**

**მოისმინეს:**

კომისიის თავმჯდომარის ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით, კომისიაში საქართველოს ფოსტის წარმომადგენლის ზეპირი მომართვის საფუძველზე დამუშავდა ინფორმაცია თბილისში, რკინიგზის სადგურის მიმდებარე მიმდებარე ტერიტორიასთან არსებული მოედნის სახელწოდებასთან დაკავშირებით.

საკითხის შესწავლისას დადგინდა, რომ მოედანი ატარებს „ვაგზლის მოედნის“ სახელს. კომისიამ იმსჯელა ხსენებულ საკითხზე და მიზანშეწონილად მიიჩნია ხსენებული გეოგრაფიული ობიექტისთვის სადგურის მოედნის სახელის მინიჭება.

ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე -სამი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

**გადაწყვიტეს:** ჩუღურეთის და დიდუბის რაიონებში, ვაგზლის მოედანს მიენიჭოს სადგური მოედნის სახელი.

**15. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, დაბა წყნეთში, ვაჟა-ფშაველას ქუჩის გაგრძელების შესახებ**

**მოისმინეს:**

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია ნოდარ ჩხარტიშვილის წერილი, რომლითაც ითხოვს წყნეთში, გიორგი სააკაძისა და ვაჟა-ფშაველას ქუჩების დამაკავშირებელი მონაკვეთის სახელდებას.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. ტერიტორიის შესწავლის შემდეგ დადგინდა, რომ ხსენებული მონაკვეთის სამანქანე გზა არსებობს, რომლის სახელდებაც შესაძლებელია და ქალაქებითი თვალსაზრისით შესაძლებელია ასევე გაგრძელდეს ვაჟა-ფშაველას ქუჩა.

ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა მეთხუთმეტე საკითხი.

მომხრე -სამი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

**გადაწყვიტეს:** ვაკის რაიონში, დაბა წყნეთში, გაგრძელდეს ვაჟა-ფშაველას ქუჩა.

**16. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიდ დილომში პეტრე იბერის შესახვევის გაგრძელების შესახებ**

**მოისმინეს:**

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას წერილი, რომლითაც მოქალაქე ნუგზარ ქარდავას მიმართვის საფუძველზე ითხოვს დიდ დიღომში ველოტრეკის მიმდებარედ მისამართის დაზუსტებას.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით, ტერიტორიის შესწავლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს დიდ დიღომში პეტრე იბერის შესახვევთან და ქალაქების მარებითი თვალსაზრისით შესაძლებელის მისი გაგრძელება.

ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი.

მომხრე -სამი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

**გადაწყვიტეს:** საბურთალოს რაიონში, დიდ დიღომში გაგრძელდეს პეტრე იბერის შესახვევი.

**17. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ივანე კაჭარავას ქუჩის I შესახვევის გაგრძელების შესახებ.**

**მოისმინეს:**

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით კომისიაში შემოსულია მოქალაქე დავით ბორჩხაძის განცხადება, რომლითაც საკადასტრო ერთეულის მიხედვით ითხოვს უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას. კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით, ტერიტორიის შესწავლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ არსებულ საცხოვრებელ სახლებამდე მისასვლელი გზა

მდებარეობს ივანე კაჭარავას I შესახვევიდან და ქალაქებებითი თვალსაზრისით  
შესაძლებელია შესახვევის გაგრძელება. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მოწყობილია  
გარკვეული სახის საგზაო ინფრასტრუქტურა და გზის დროებითი საფარი.

ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა მეჩვიდმეტე საკითხი.

მომხრე -სამი.

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

**გადაწყვიტეს:** გლდანის რაიონში, გაგრძელდეს ივანე კაჭარავას ქუჩის I შესახვევი.

ნინო ვარდოსანიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

ნინო ვარდოსანიძე

